საქართველოს აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია
Georgian Audit & Consulting Company

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის ხელმძღვანელობას:

ჩვენ ჩავატარეთ "მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის" (ორგანიზაცია) თანდართული ბუღალტრული ბალანსის ანგარიშგების აუდიტი 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრთვე მასთან დაკავშირებული საქმიანობის ანგარიშგების, ფუნქციონალური ხარჯების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების აუდიტი იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღისთვის. მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. ჩვენ გვევალება ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ და გავცეთ დასკვნა.

აუდიტს წარვმართავდით საყოველთაოდ აღიარებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, რომ შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი მოიცავს მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების თანხებისა და ახსნა-განმარტებების დადასტურების მიზნით, აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

ჩვენი აზრით, მოცემული ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს "მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის" (ორგანიზაცია) ფინანსურ მდგომარეობას 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებს.

საქართველოს აუდიტორიული და საკონსულტაციო კომპანია

10 ივლისი 2006

საქართველო, თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. 74 / 74, Chavchavadze Ave., 0162 Tbilisi, Georgia
Tel.: (995 32) 25 31 61, 25 22 56, Tel./Fax: (995 32) 25 22 56, E-mail: gacc@caucasus.net
www.gacc.com.ge